KA021719346774617

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. ახალციხე, შალვა ნათელაძის ქ.54

Tel: (+995 32) 2 98 11 11

info@nasp.gov.ge

N16/65173

13 / დეკემბერი / 2017 წ.

სსიპ სოფელ ორგორის საჯარო სკოლას

თქვენი, 07.12.2017 წლის N MES1 17 01499579 (რეგ.N112008/04 11.12.2017წ) წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის (ს.კ N60.07.31.027) ბალანსზე რიცხული შენობის დემონტაჟზე თანხმობას გაცნობებთ, რომ სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრებისათვის უფლებამოსილების მინიჭების 04.01.2017 წლის #N1/1-10 ბრძანების შესაბამისად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 01.12.2017 წლის #MES 8 17 01464114 და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2017წლის N4045/11 წერილების გათვალისწინებით, თანახმაა განახორციელოთ სსიპ სოფელ ორგორის საჯარო სკოლის სარგებლობაში/ ბალანსზე რიცხული შენობის ჩამოწერა/ დემონტაჟი, ჩამოწერა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის #82 და დემონტაჟი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს #239 დადგენილებების შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ უძრავი ქონების ჩამოწერა/დემონტაჟის შემთხვევაში განახორციელოთ შესაბამისი ცვლილებები საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო ჩანაწერებში.

სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსი

ზაალი ივანიძე